

ციის მიქცევა დასაშვებია მხოლოდ დავის არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის შემდეგ (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 302-309, 346-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის განჩინება № ას-1365-1287-2012

რედაქტორის შენიშვნა: იპოთეკის მოვალემ სარჩელი აღძრა კერძო სპეციალისტის, საჯარო რეესტრისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვა ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობა. მოსარჩელის მითითებით, მისი და კრედიტორის შეთანხმებით, იპოთეკის დატვირთული ქონების რეალიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ დავის არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის შემდეგ. ამასთან, აუქციონი, რომლის შესახებაც ის არ ყოფილა გაფრთხილებული, ჩატარდა დარღვევებით. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა - გაბათილდა აუქციონის ჩატარების შესახებ ოქმი, განკარგულება აუქციონზე შეძენილი ნივთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა გაიზიარეს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია, მათი დასაბუთებით, სკ-ის 346-ე მუხლის მიხედვით, უნდა განმარტებულიყო მოსარჩელის სასარგებლოდ და აუქციონი უნდა ჩატარებულიყო დავის მხოლოდ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტის შემდგომ.

► 9 – 7/2020

მხარის წერილობითი განმარტება მისგან გამოთხოვილი მტკიცებულების წარდგენის შეუძლებლობის შესახებ ვერ ჩაითვლება ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, სკ-ის 136 V მუხლის მიზნებისთვის. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სსკ-ის 136 V მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის განჩინება № ას-1235-1164-2012

რედაქტორის შენიშვნა: დასაქმებულმა მიიღო ტრავმა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, რამაც მისი უვადო შრომისუნარიობა გამოიწვია. დამსაქმებელი სარჩოს წლების განმავლობაში იხდიდა, თუმცა მოგვიანებით შეწყვიტა. დაზარალებულმა სარჩელი აღძრა დამსაქმებლის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის ყოველთვიური სარჩოს დაკისრება. საკასაციო სასამართლომ საქმე მეორე ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნა და მიუღებლად მიიჩნია მტკიცების ტვირთის მოსარჩელისთვის დაკისრება იმ პირობებში, როდესაც მან დააყენა შუამდგომლობა ინფორმაციის (მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობისა და ანაზღაურების შესახებ) მოპასუხისგან გამოთხოვის შესახებ და ამ უკანასკნელს დაკისრებული მოვალეობა არ შეუსრულებია. უზენაესი სასამართლოს პოზიციით, მოპასუხის წერილობითი განმარტება მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის შეუძლებლობის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიო მიზეზად.

ნინო ქავშბაია